

**რუსეთის ენობრივი პოლიტიკა და საქართველო  
ტარიელ ფუტკარაძის წიგნის –  
„ქართველოლოგიის თანამედროვე  
გამოწვევების“ მიხედვით  
LINGUISTIC POLICY  
OF RUSSIAN EMPIRE AND GEORGIA  
ACCORDING TO TARIEL PUTKARADZE’S BOOK –  
*CONTEMPORARY CHALLENGES OF KARTVELOLOGY***

**ლუკა დვალიშვილი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Luka Dvalishvili**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

Tarel Putkaradze was a versatile public figure and state-minded scholar, who never abandoned patriotic as well as common human values. The proposed article examines one of the poignant problems, which is the legal state of the Georgian language during the period of Georgia’s annexation by the Russian Empire, explored in Tarel Putkaradze’s monograph entitled *Contemporary Challenges of Kartvelology* (2019).

Through well-substantiated discussion and by providing the relevant documents, the scholar demonstrates with clarity the purpose of the Russian Empire, to ban the Georgian language from the Georgian church and, first of all, from churches of Megrelia and Svaneti.

In a few lines, Tarel Putkaradze offered a clear and precise description and assessment of the hostile imperial politics of Russia: “At the end of the 19th century and the beginning of the 20th, following the military conquest of the Caucasus, the officials of the Russian empire launched a meticulously elaborated language policy, pursuing the “divide and conquer” plan. By declaring some of the regional idioms of Georgians as independent languages, they tried to accomplish the linguistic and ethnic fragmentation of Georgians. The very path was maintained by the Bolsheviks. Today, the same is being accomplished by the Kremlin” (p. 26).

An insidious language policy of Russia which was often accompanied by the demonstration of force and repressions against the defenders of rights of the Georgian language met appropriate resistance and confrontation on the part of the outstanding representative of the Georgian people.

Many of the national problems, those of utmost importance dealt with in the book, are extremely urgent and substantial for the development of Georgia and the Georgian nation.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთის ენობრივი პოლიტიკა საქართველოში, ქართველოლოგია, ტარიელ ფუტკარაძე.

**Keywords:** Russian language policy in Georgia, Kartvelology, Tariel Putkaradze.

ტარიელ ფუტკარაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ წერა და საუბარი ძალიან ძნელია. ძნელია იმის გამო, რომ, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, ის იყო უაღრესად მრავალმხრივი პიროვნება, სულით ნათელი, თერგდალეულებივით ბევრი საჭირო და საინტერესო სამეცნიერო თუ შემეცნებითი ხასიათის ჟურნალ-გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, მრავალი კონფერენციის ორგანიზატორი და მისი მუშაობის სულისჩამდგმელი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. იგი იყო ჭეშმარიტი მასწავლებლისა და მოძღვრის უნარ-ჩვევებით შემკული პიროვნება, გულ-გონებანათელი, თანმიმდევრული, პრინციპული სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც, თვითმარქვია მამულიშვილებისა და პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს არასდროს დალატობდა. ვფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავის პერსონაჟის ჩვენებით ძალიან წუხდა ქართული ინტელიგენციის ერთი არცთუ მცირე ნაწილის საპირადო თუ საქვეყნო საქმეების კეთების პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონას. ასეთ ადამიანებს განათლება არ აკლდათ, მაგრამ ასეთი, ცხოვრებისეულ სინამდვილეს მოწყვეტილი, „უპილპილმარილო“ განათლება ვერ დადიოდა ჭეშმარიტი ცოდნის ბალავარზე, რომლისგანაც ამოიზრდებოდა მატერიალურ-სულიერი სამკაულებით აცისკრებული ეროვნული ტაძარი. სიტყვიერი კენჭლაობის უნარი და ფასად-კოსმეტიკური დეკორაციები თავის დროსა და ადგილას ურიგო არ არის, მაგრამ, ჩვენი წინაპრების საქმეების მსგავსად, ხშირად ღვთითკურთხეული, მტერმრავალი ჩვენი ქვეყანა ფიზიკურ აქტივობას მოითხოვდა და მოითხოვს. მიხეილ ჯავახიშვილის საწუხარი თეიმურაზ ხევისთავები, სამწუხაროდ, ახლაც ბევრი ჰყავს ჩვენს სამშობლოს. ალბათ ამიტომაც არ იღლებოდა, არ ისვენებდა ამ მხრივაც გამორჩეული ტარიელ ფუტკარაძე. მუხლჩაუხრელად შრომობდა გონებრივად თუ ფიზიკურად, საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა, მუდამ ფუსფუსებდა და საქმიანობდა. პირადი მაგალითით ხელჩაქნეულობისა და ინდიფერენტობის ბანგიდან გამოჰყავდა ბევრი კარგი ქართველი. ფაქტია, რომ კაცის ღირსება-შესაძლებლობები ყველაზე უკეთ საქმეში, ექსტრემალურ და საველე პირობებში გამოჩნდება. საქვეყნო საქმის კეთების იმ მხარეს, სადაც ტარიელ ფუტკარაძე იდგა, არასოდეს რაიმე გართულება მოსალოდნელი არ იყო.

ტარიელ ფუტკარაძის დამსახურებისა და ღვაწლის შესახებ ჩვენ, ვისაც, საბედნიეროდ, ცხოვრების ერთ ხანგრძლივ პერიოდში მის გვერდით მოგვიწია ყოფნა, ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ ახლა შევეხებით ერთ უაღრესად მნიშვნელოვან, მარად აქტუალურ პრობლემას – ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობა რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში და მისი ასახვა ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (2019).

მონოგრაფიაში მრავალი საჭირობოროტო პრობლემა დასმული და გაანალიზებული, ხშირ შემთხვევაში მოცემულია მათი გადაჭრის გზებიც. გამოკვლევის შესავალ ნაწილში ავტორი სამართლიანადაა შეშფოთებული იმ სამწუხარო რეალობით, რომ ხშირ შემთხვევაში ანტიქართული საქმე მოყვრის ნიღბით მოსული „ვითომ მეგობრის“ ხელით კეთდება: „დღეს სვანური (/მეგრული, ლაზური) სამწიგნობრო ენისა და ლინგვისტური კორპუსის შექმნის პროცესი ძალიან ჰგავს მე-19 საუკუნის ბოლოს რუსულ იდეოლოგიზებულ „საგანმანათლებლო“ „შტურმს“ – მეგრული და სვანური ანბანების შექმნის მცდელობებს“ (გვ. 35). ტარიელ ფუტკარაძე ჩვეული უშუალოდ, პირდაპიროდ, მაგრამ ზომიერდარბაისლური ტონით მიმართავს ჭეშმარიტების ძიებაში შემცდარ თუ შეგნებულად ცდუნებულ მოკეთებებს... „ქართველთა ობიექტური ენობრივ-ეთნიკური ისტორია რომ იცოდნენ ქართველი ერის ღირსების პატივისმცემელმა ევროპელმა მეგობრებმა, სხვა ქართველებისაგან გამმიჯნავ საეჭვო პროექტებს არ დააფინანსებდნენ...“ (იქვე).

ქართული სიბრძნე დადადებს: არცოდნა არცოდვააო, მაგრამ ზემოთქმული უფრო არააკადემიურ სივრცეზე შეიძლება გავრცელდეს. ქვეყანასა თუ პიროვნებას მეგობრის დახმარების სურვილი თუ გაუჩნდა, პირველ რიგში ის მაინც უნდა ჰქონდეს გათვალისწინებულ-განჭვრეტილი, რომ შენი „დახმარებით“ ისეთი ქმედება მაინც არ ჩაიდინო, რომელიც მტრის ნავერაგალ ბოროტების წისქვილზე დაასხამს წყალს. ტარიელ ფუტკარაძე ნაშრომში, ყოველი ზედმეტი რევერანსის გარეშე, გმობს იმ ცალკეულ ქართველთა საქმიანობას, რომლებიც წინასწარგანზრახვით თუ გაუაზრებლად, ნებსით თუ უნებლიეთ სანუკვარი ოცნების ასრულებაში ეხმარებიან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ავისმოსურნეებს. სწორედ ამათხეა ალბათ ნათქვამი: „ხემ თქვა, ნაჯახი რას დამაკლებდა, შიგ ჩემიანი რომ არ ერიოსო“.

ტარიელ ფუტკარაძის წერის სტილი ნათელია, ლოგიკური და დამაჯერებელი. იგი მახვილგონივრულად, სანამ პრობლემას დასვამდეს, მოკლედ მიმოიხილავს საპოლემიკო თემის არსს, წარმოაჩენს საინტერესო ისტორიულ ექსკურსს სადავო საკითხის ირგვლივ. ყოველივე ეს მკითხველს საშუალებას აძლევს ყოველგვარი განსაკუთრებული ჩაკირკიტების გარეშე გაიაზროს, გაიზიაროს და მიჰყვეს წიგნის ავტორის ლოგიკის ჯაჭვს. „კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიის მოხელეებმა საგანგებოდ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკით დაიწყეს „გათიშე და იბატონეს“ გეგმის განხორციელება; კერძოდ, ქართველთა ზოგი კუთხური მეტყველების დამოუკიდებელ ენად გამოცხადებით შეეცადნენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას. ეს გზა გააგრძელეს ბოლშევიკებმა. დღეს ამ გზით მიდის კრემლი“ (გვ. 27). ორ საუკუნეზე მეტია შენიღბული თუ ღია აგრესიის ფორმით გრძელდება რუსული მტრული, ტრადიციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომლის ამომწურავი აღწერა და შეფასება ავტორმა რამდენიმე ფრაზაში სათვალსაჩინოდ, საგულისყუროდ და ამომწურავად ჩამოაყალიბა. ქართველთა ერთ ნაწილს წინა საუკუნეებშიც და, სამწუხაროდ, ახლაც, სჯეროდა და სჯერა ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის

კეთილი ზრახვებისა და საქართველოსადმი უანგაროდ დახმარების გაწევის სურვილისა. ერის დაკნინება-გადაგვარების, ეროვნული სახის დაკარგვისთვის ყველაზე მოხერხებული საშუალება ენობრივი და სარწმუნოებრივი იდენტობის წართმევაა. სარწმუნოდ ბრძანა ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანმა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“. იცოდა და იციან რა ეს რუსული იმპერიის ძველმა და ახალმა წარმომადგენლებმა, ვითომ მეცნიერული ჭეშმარიტებისა და კეთილმოყვარეობის ნიღბით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ სხვადასხვა ეროვნებებად მიიჩნევენ: ქართველებს, მეგრელებს, სვანებს, ინგილოებს და სხვ.

რუსეთის იმპერიის მესვეურთა მზაკვრულ ენობრივ პოლიტიკას, რომელსაც ხშირად თან ახლდა ძალის დემონსტრირება და რეპრესიები, ქართული ენის უფლებების დამცველები, ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლები უშიშრად ამხელდნენ და შეძლებისამებრ წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგალითად, 1878 წელს „ივერიის“ მე-40 ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ „ტფილისის ოლქის სასოფლო სასწავლებელთა დირექციამ გადაწყვიტა დღეის შემდეგ სასოფლო სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იქნეს და სახელმწიფო, რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც ენა. იყო დრო, როდესაც საქართველოს ჰქონდა საკუთარი პირველდაწყებითი, შუათანა და უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ისწავლებოდა ამგვარ საგანთა გარდა ბერძნული, არაბული და სპარსული“ (დვალიშვილი 2005: 116). წერილის ავტორის პათოსი გასაგებია; ყოველგვარი რადიკალური მოწოდებების გარეშე იგი არ უარყოფს რუსული ენის სწავლების მნიშვნელობას, მაგრამ აქვე დიპლომატიურად საგანგებოდ მიუთითებს, რომ ქართულ სკოლებსა თუ სხვა ტიპის სასწავლებლებში სწავლება უნდა მიდიოდეს მშობლიურ ენაზე. აქვე მიზანმიმართულად გაკეთებულია პატარა ისტორიული ექსკურსი და აქცენტი გადატანილია იმ ფაქტზე, რომ ძველადაც ქართველები საგანგებო პატივს მიაგებდნენ სხვა ენებსაც და შეუზღუდავად ისწავლებოდა არაბული, ბერძნული და სპარსული ენები. რუსეთის იმპერიის მესვეურთა აგრესიული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის II ნახევრიდან. ამ დროის ქართველი მოღვაწეები თავიანთ წერილებში ყოველგვარი ქარაგმისა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ამხელდნენ ცარიზმის მოხელეებს, რომლებიც სარგებლობდნენ იმით, რომ სამეურნეო თუ სასამართლო საქმეების წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობამ ენა არ იცოდა, ათასნაირ ხვანჯებს ხლართავდნენ ქრთამისა თუ სხვა სარგებლის მისაღებად.

ცარისტული რუსეთის ყოველგვარ ზღვარგადასულ ენობრივ პოლიტიკას საქართველოში რუსი მოხელეების გარდა ხშირად მხარს უჭერდნენ დამპყრობლის სამსახურში მყოფი იმპერიის დამონებული ქვეყნების შვილები. სამწუხაროდ, ხშირად სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ ქართული ენისადმი უმკაცრესი აგრესიული დამოკიდებულებით. ამას ემატებოდა ფულს, პრივილეგიასა თუ იმპერიის ყალბ იდეოლოგიას მონურად დამორჩილებული ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილიც.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საინტერესოა ტარიელ ფუტკარაძის წიგნის ერთი მონაკვეთი, სადაც უგანათლებულესი ქართველი საზოგადო მოღვაწის – თედო სახოკიას ნააზრევია წარმოჩენილი: „1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამონასტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილი იყო, როგორც არა დედა ენა და პირდაპირ რუსული ენით ასწავლიდნენ საგნებს. ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუსების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი (ეთნიკურად პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი (ისიც პოლონელი). ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და ამავე სემინარიის მუშაკს და შემდეგში „ცნობილ“ თადა ამორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსები ჩააწერინა“ (გვ. 43).

რუსეთის მთავრობის ავანტურისტული პოლიტიკა და ქართული ენის უფლებების მიზანმიმართული უგულვებლყოფა და შელახვა სხვა უფრო შორეულ მიზანს ითვალისწინებდა. საეკლესიო სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნით თანდათანობით მზადდებოდა შორს გამიზნული მზაკვრობა-ვერაგობა. ადგილობრივი მოსახლეობის ვითომ „მოსარჩლე“ იმპერიის მოხელეები სეპარატისტულად განწყობილ თითო-ოროლა ავანტურისტს აქეზებდა ებრძოლათ არა მარტო ენობრივი ბუნებრივი კავშირების დარღვევისათვის, არამედ მოეთხოვათ სამეგრელოს ავტონომია. „ადგილობრივი ენის უფლებადამცველთა“ პოზიცია დროულად იქნა მხილებული და, ხელისუფლების მხრიდან რეპრესიის შიშის მიუხედავად, იმპერიის სურვილებს ღიად დაუპირისპირდა თედო სახოკიასა და თედო ჟორდანიას მსგავსი ღირსეული მამულიშვილები. თედო სახოკიას თქმით, რუსეთი მსგავს მზაკრულ პოლიტიკას ატარებდა ახლადშემოერთებულ აჭარაში და გაუაზრებელი მტრობით, ხშირად თავის ნების საწინააღმდეგოდ, არა მარტო ქართულ საქმეს აფუჭებდა, არამედ თავის სამომავლო პოლიტიკასაც აზარალებდა. „1878 წელს...რუსეთის მთავრობამ შემოერთებული მხარის მკვიდრთ გამოუცხადა: ვისაც არ გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასახლება, სამ წელიწადს ვადას გაძლევთ. ვინც ამ ხნის განმავლობაში გადასულხართ, გადასულხართ, მერე კი ნება არ გაქვთ... ოსმალეთიდან დას-დასად მოსული აგენტები უარესად უჩუჩხურებდნენ აქაურებს. აშინებდნენ ხალხს. რუსის ხელში ძალიან გაგიჭირდებათ, ოსმალეთში წამოდიეთ“ (სახოკია 1985: 190). სამწუხაროდ, საქართველოს ამ ორი დაუძინებელი მტრის უფრო უარეს შემოთავაზებას დაუჭირა მხარი ახლადშემოერთებული აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა და „ფანატიკოს მოღვლების ქადაგებით“ ცდუნებულნი ოსმალეთში გადასახლდნენ, მაგრამ... „თურქეთის მთავრობამ მეტად მცირე ზრუნვა გამიჩინა მათ დასაბინავებლად... და ათასგვარმა გაჭირვებამ სასოწარჟვეთა გადმოხვეწილებს“ (იქვე).

თედო ჟორდანიამ მრავალჯერ საჯაროდ ამხილა იანოვსკის ანტიქართული პროექტი. მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაპირისპირების გამო მას ბევრი უსიამოვნების გადატანა მოუწია,

თუმცა ღირსეული მამულიშვილი ყოველივე ამას არ ნანობს და სიამაყით აცხადებს, რომ „იანოვსკისგან დაწყებული საქმე სამუდამოდ ჩაიფუშა“.

ტარიელ ფუტკარაძე თავის მართლაც უაღრესად საჭირო და საინტერესო წიგნში თედო სახოკიას წერილის წარმოჩენა-დემონსტრირებით კიდევ ერთხელ ააშკარავებს დამპყრობლის ნამდვილ სახეს. აქვე მართებულადაა დაფიქსირებული, რომ რუსეთის მიერ ჩადენილ უდიდეს ბოროტებას, საქართველოს დაპყრობას, მტრის განზრახვის საწინააღმდეგოდ, ქვეყანაში ეროვნული ერთობის ყოვლისმომცველი მუხტის გაძლიერება მოჰყვა. კერძოდ, XV საუკუნის შემდეგ დაყოფილ-დაქუცმაცებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხე და მათი წარმომადგენლები რუსული მილიტარისტული აგრესიით უნებლიეთ გაერთიანებულნი, კიდევ უფრო დაუკავშირდნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რაც, რა თქმა უნდა, დამპყრობლის ინტერესებში არ შედიოდა. ეროვნული ერთიანობის გაძლიერების ამ მუხტს მტერმა სასწრაფოდ დაუპირისპირა ქართველთა შორის „ვითომ“ ეროვნულ-ენობრივი განსხვავებულობის საკითხი. წიგნში ხაზგასმითაა წარმოჩენილი თედო სახოკიასა და თედო ჟორდანიას უშიშარი, პრინციპული, მამულიშვილური პოზიცია.

თედო სახოკიას თქმით, „მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსმა დამპყრობლებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავრო გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილი გაერთიანდა, რუსეთის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენი ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე“ (გვ. 42). საეკლესიო და სამრევლო სკოლების წინააღმდეგ იანოვსკიმ „ვიღაც ნადირებს ქართული ლოცვები მეგრულად გადაათარგმნინა და ეგზარხოსის დასტური ითხოვა“.

რუსეთის მთავრობის ვერაგობა და მზაკვრობა სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის დევნითა და კუთვნილი უფლებების შელახვით არ დასრულებულა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომით დედასაქართველოს შემოერთებული აჭარის ქართულ მოსახლეობას თურქებად აცხადებდა და მოუწოდებდა მათ ეზრუნათ თურქულენოვანი სკოლების შექმნისთვის. „მეფის მთავრობის მოხელეები ვითომდა ნაცუმცირესობის დაცვის მიზნით ცდილობდა დაწყებით სასწავლებელში ქართული ენის ნაცვლად მეგრულის, სვანურის და თურქულის დამკვიდრებას. ოსმალთ ბატონობისგან ახლად გათავისუფლებულ მუსლიმან ქართველებს თურქებად აცხადებდნენ, კრძალავდნენ მათთვის ქართული სკოლების გახსნას, თხზავდნენ ქართული ენის დაბერების უნიადაგო თეორიას. მიზნად ისახავდნენ ქართველების გარუსებას (საქართველოს ისტორია 2010: 84).

ტარიელ ფუტკარაძე არგუმენტირებული მსჯელობითა და სათანადო დოკუმენტების მოხმობით წარმოაჩენს, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ქართული ენის განდევნა საქართველოს ეკლესიიდან და პირველ რიგში სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიებიდან. 1902 წელს დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა

აცნობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომ, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის ნაცვლად ადგილობრივი „ენა“ უნდა ისწავლებოდეს. მიუხედავად დევნისა და რეპრესიებისა, ღირსეულმა სულიერმა მამამ არ შეასრულა დამპყრობელი მოხელის დავალება.

ტარიელ ფუტკარაძე ანალიზებს 1913 წელს გამოცემულ ი. სტალინის ცნობილ წიგნს „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. იგი შესაბამისი არგუმენტებით და დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოაჩენს სტალინის კონცეფციის უარყოფით მხარეებს. მეცნიერი იქვე აღნიშნავს: „სტალინის წარმოდგენილი კონცეფცია დიდად არ განსხვავდებოდა იანოვსკ-ვოსტორგოვის მიდგომისაგან“ (გვ. 40).

გამოკვლევის ავტორი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ქართული საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის გაორებულ ან მკვეთრად გამოკვეთილ ანტიქართულ საქმიანობას. იგი წერს: „გამორჩეულად ნიჭიერმა მეცნიერმა ნიკო მარმა, რომელიც მანამ, სანამ ქ. პატკანიანის ველში მოხვდებოდა, სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის იმპერიის მოხელეებს. 1905 წელს დაწერილ ნაშრომში „ქართველთა ეროვნება“ ნიკო მარი საქართველოს განიხილავდა ერთიან ნაციონალურ კულტურულ ერთეულად, რომელსაც ამყარებდა საეკლესიო ენა... ივანე ჯავახიშვილის აზრით, ამ პოზიციიდან მისი რადიკალურად გადახრის მაჩვენებელია 1917 წლიდან ქართველი ინტელიგენციისათვის „ავადმყოფური ნაციონალიზმის“ დაბრალება“ (გვ. 47).

მკვლევარი იზიარებს დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ფაქტებზე დაყრდნობილ მოსაზრებას, რომელშიც იგი ნიკო მარს რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველ პოლიტიკებულ მეცნიერად მიიჩნევს და უწოდებს მას „რუსული გულმოდგინეობით“ სავსე „უკიდურეს შოვინისტს“, რუსული პოლიტიკის გამტარებელი მკვლევარს, რომელიც ქართველ მეცნიერთა კონტაქტებს ევროპელ და ამერიკელ კოლეგებთან ეჭვის თვალით უყურებდა.

ნიკო მარის განაწყენება ქართველებისადმი ცნობილი ფაქტია და იგი ამას არც მალავდა. სამეცნიერო წრეებში მეტ-ნაკლებად ამ განაწყენების მიზეზებიც ამოხსნილია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭყონიას არქივში დაცული ნიკო მარის ორი უცნობი წერილი. უცნაურია წერილის ტექნიკური მხარე. ის შესრულებულია ფოსტის გაუქმებულ ბლანკებზე. წერილების თავისუფალი არეები მაქსიმალურადაა გამოყენებული და სიტყვების მეტისმეტი მომჭირნეობაც იგრძნობა. ნიკო მარი თავის უახლოს მეგობარს, ილია ჭყონიას აცნობებს, რომ მისი გამოკვლევა პეტერბურგის აკადემიის შრომებში მალე დაიბეჭდება (საუბარია 1910 წელს პეტერბურგში ნიკო მარის წინასიტყვაობით გამოცემულ წიგნზე „სიტყვის კონა“. „სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“. იქვე მეგობარს ახარებს, რომ „ამ მარხვაში აკადემიაში მიპირებენ არჩევას, თუ ისევ არ გამიცრუვდა იმედი“. თუმცა იქვე გულმოდგინედ ამუნათებს მეგობარს – ამ ამბავს მაქეთ ნუ გაახმაურებ, მაინც არ

გაუხარდებათ. ქართველებზე განაწყენება-შემოწყრომას ადასტურებს წერილის ბოლოს არშიაზე მინაწერი: „ქართველების შარლატანი მარრი“ (დვალიშვილი 2005: 166).

ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივ საინტერესო და საჭირო წიგნში დასმული მრავალი საჭირობოტო ეროვნულ-ნაციონალური პრობლემა, ჩვენი ფიქრით, სამწუხაროდ, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს არ გადაიჭრება. აქედან გამომდინარე, ამ წიგნს და მასში დასმულ საკითხებს უნდა იცნობდეს მომავალი თაობის ყოველი ქართველი, რამეთუ, მწარე გამოცდილებებიდან გამომდინარე, ყურადღების მოდუნება ამ მიმართულებით ქვეყანასა და ქართულ საზოგადოებას, სამწუხარო ტრადიციით, შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს.

#### **დამოწმებული ლიტერატურა**

**დვალიშვილი 2005:** დვალიშვილი ლ., ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება. ქუთაისი. 2005.

**საქართველოს ისტორია 2010:** საქართველოს ისტორია, IV ტომი. თბილისი, 2010.

**სახოკია 1985:** სახოკია თ., მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, სვანეთი. თბილისი, 1985.

**ფუტკარაძე 2019:** ფუტკარაძე ტ., ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები. თბილისი, 2019.